ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №3509536

ნომერი: AR1536282

თარიღი : 30.08.2017

გაცემის თარიღი : 01.09.2017

გაცნობის თარიღი : 01.09.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ლილო , კახეთის გზატკეცილი / ქალაქი თბილისი , დასახლება ლილო , კახეთის გზატკეცილი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ია გრიგოლია პ/ნ 01001010639
- გლდანი, მე2 მკრ 24 ბ კორპ.

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 29 ოქტომბრის №952456 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 30 აგვისტოსს №AR1536282 განცხადებით მომართა ია გრიგოლიამ და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 29 ოქტომბრის №952456 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 29 ოქტომბრის №952456 გადაწყვეტილებით, ქალაქი

თბილისში,  ლილოს დასახლებაში, კახეთის გზატკეცილზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.19.15.008.001; ფართობი: 9402 კვ.მ.) მსუბუქი კონსტრუქციის დამხმარე შენობა–ნაგებობების განთავსების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
სამსახურის 2016 წლის 1 ნოემბრის №2920689 ბრძანებით, ცვლილება შევიდა  ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 29 ოქტომბრის №952456 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ საპროექტო ობიექტად დაფიქსირდა მსუბუქი კონსტრუქციის დამხმარე შენობა–ნაგებობები და სამრეწველო საწყობი. შენიშვნის სახით დაფიქსირდა: „საპროექტო ობიექტი განთავსდეს სამრეწველო ზონა 2-ის (ს-2) მოქმედების არეალში;“.
სამსახურის 2017 წლის 3 თებერვლის № 3069757 ბრძანებით, ისევ განხორციელდა ცვლილება ხსენებულ პირობებში და საკადასტრო კოდად დაფიქსირდა №01.19.15.008.061.
ამჟამად, განმცხადებელი ითხოვს შეცვლილი საკადასტრო მონაცემების ასახვას ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 29 ოქტომბრის №952456 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და ფუნქციად დამხმარე, სავაჭრო და საოფისეს დაფიქსირებას.
საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით დგინდება, რომ შეცვლილია საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი, საკადასტრო კოდი და კონფიგურაცია. შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია აღნიშნული ცვლილებების ასახვა ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 29 ოქტომბრის №952456 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

## ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 29 ოქტომბრის №952456 გადაწყვეტილებით  დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და დაფიქსირდეს განახლებული საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი #01.19.15.008.084; ფართობი 7215  კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი: N882017792567; რეგისტრაციის თარიღი : 30/08/2017 წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
2. ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 29 ოქტომბრის №952456 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ფუნქციად დაფიქსირდეს: დამხმარე; სავაჭრო, საოფისე;
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 29 ოქტომბრის №952456 გადაწყვეტილებასთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ  შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.